# ხელშეკრულება № 1-6

გამარტივებული სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ

სამტრედია

30 იანვარი 2014 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაგნის საჯარო სკოლა (შემდგომში - დამკვეთი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნათელა შენგელიას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ კობა ცაგურია (შემდგომში - შემსრულებელი) სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია *(CPV45400000)* შენობის მოწყობის სამუშაოები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 2658 ( ორიათას-ექვსასორმოცდათვრამეტ ლარი 00 თეთრი ) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს სამუშაოს შესრულებას და მასთან დაკავშირებულ მასალის ხარჯების ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. სამუშაოს მიღება დასტურდება დამკვეთისა და შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, შემსრულებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს დამკვეთს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. შემსრულებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში შემსრულებელთან მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა**

შემსრულებელი სამუშაოს ჩაბარებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 20 წლის 1 მაისამდე სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაგნის საჯარო სკოლა სამტრედია სოფელი ჭაგანი.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. დამკვეთი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს შემსრულებლიდან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს შემსრულებლის შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით დამკვეთისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. შმსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) ჩააბაროს დამკვეთს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი ან სათანადოდშესრულებული სამუშაო.

გ) დამკვეთი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს სამუშაოს შესრულებას ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლ ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილი უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგ
ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს
მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში,
შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედებ
დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ
წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებ
დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების
გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების
დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.
შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი
არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი
დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილ
სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი
გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახ
შემსრულებელთან , ორი დამკვეთთან

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 1 მაისამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შემსრულებე

ი/მ კობა ცაგურია

მისამართი: სამტრედიის რაიონი ს. ღანირი

ტელეფონი:

პირადი: №37001041732

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა"

საბანკო კოდი: REPL GE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE40BR0000010142851938

დამკვეთი

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტი სოფელ ჭაგნის საჯარო სკოლა

მისამართი: სამტრედია სოფელი ჭაგანი

ტელეფონი: 577652678

საიდენტიფიკაციო კოდი: №238762736

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკის"- სამტრედიის ფილიალი

საბანკო კოდი: LBRTGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: №GE05LB0121129898129000

კერძო პირი

------------ კობა ცაგურია

30 იანვარი 2014 წ.

დირექტორის მ/შ

------------------ /ნათელა შენგელია/

30 იანვარი 2014 წ.

დანართი 1

შესასრულებელი სამუშაო

1, იატაკის დაგება

2,პლინტუსების დამაგრება

3 საყრდენი კოჭების შეკეთება და გამაგრება

4იატაკის შეღებვაბ ორჯერადად

სამუშაო უნდა შესრულდეს საკლასო ოთახში

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის

სოფელ ჭაგნის საჯარო სკოლის დირექტორი ნ.შენგელია

ი/მ „კობა ცაგურია“ კობა ცაგურია

ფორმა №2

# სამუშაოს შესრულების აქტი

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაგნის საჯარო სკოლის საკლასო ოთახების სარემონტო სამუშაოები

27 მარტი 2014 წელი

| № რიგზე | ნორმატივის ნომერი და შიფრი | სამუშაოს და დანახარჯების დასახელება | განზ - ბა | რაოდ -ბა | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | სულ ჯამ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1 | | მოიხსნა ძველი ფიცრული იატაკი ხის კოჭების გამოსაჩენად | მ² | 22 | | | | | | | 18 |
| 1-1 | სნ 46 | შრომითი რესურსი | კაც/სთ | 4 | | | 4.6 | 18 | | | 182 |
| 2 | | მოეწყო ძველი ხის კოჭების აღდგენა დახერხილი ხის მასალის აკვრით ორივე მხრიდან 4X20სმ | გრძ/მ | 140 | | | | | | | |
| | | | მ³ | 1.15 | | | | | | | 714 |
| 2-1 | სნ 10-11 | შრომითი რესურსი | კაც/სთ | 27.4 | | | 4.6 | 126 | | | 126 |
| 2-2 | სრფ 5-1-2 | მატ. რესურსი – ხის დახერხილი მასალა | მ³ | 1.15 | 490 | 564 | | | | | 564 |
| 2-3 | სრფ 1-9-2 | მატ. რესურსი – ლურსმანი | კგ | 8 | 3 | 24 | | | | | 24 |
| 3 | | მოეწყო მოხსნილი ფიცრული იატაკი კოჭების თავზე | მ² | 22 | | | | | | | 116 |
| 3-1 | სახელშეკ | შრომითი რესურსი | მ² | 22 | | | 5 | 110 | | | 110 |
| 3-2 | სრფ 1-9-2 | მატერიალური რესურსი – ლურსმანი | კგ | 2 | 3 | 6 | | | | | 6 |
| 4 | | ძველ ფიცრულ იატაკზე დაიგო „დვპ“ სისქით 18მმ | მ² | 47 | | | | | | | 773 |
| 4-1 | სახელშეკრ | შრომითი რესურსი | მ² | 47 | | | 5 | 235 | | | 235 |
| 4-2 | სრფ 5-1-147 | მატ. რესურსი „დვპ“ ფილა | მ² | 47 | 9.4 | 442 | | | | | 442 |
| 4-3 | სრფ 4-2-99 | მატ. რესურსი წებო „პვა პროფესიონალი“ | კგ | 8.5 | 3.4 | 29 | | | | | 29 |
| 4-4 | სრფ 1-9-24 | მატ. რესურსი – ხრახნი | კგ | 5 | 3 | 15 | | | | | 15 |
| 4-5 | სრფ 1-151 | მატ. რესურსი – ხის პლინტუსი | გრძ/მ | 26 | 2 | 52 | | | | | 52 |
| 5 | | შეიღება იატაკი ზეთოვანი საღებავით 2-ჯერ | მ² | 47 | | | | | | | 311 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სახელშეკრ | შრომითი რესურსი | $მ^2$ | 47 | | | 4 | 188 | | | 188 |
| სრფ 4-2-19 | მატ. რესურსი – შპაკლი | კგ | 23 | 0.5 | 12 | | | | | 12 |
| სრფ 4-2-19 | მატ. რესურსი – ზეთ. საღებავი გერმანული | კგ | 16.5 | 6.7 | 111 | | | | | 111 |
| სრფ 12-328 | ავტომანქანა მასალების გადმოსატანად ობიექტამდე 36-40 კმ მანძილიდან | მან/სთ | 8 | | | 4.28 | 34 | 20.54 | 164 | 198 |
| | ჯამი | | | | 1255 | | 711 | | 164 | 2130 |
| | ზედნადები ხარჯები 10% | | | | 126 | | 71 | | 16 | 213 |
| | ჯამი | | | | 1381 | | 782 | | 180 | 2343 |
| | გეგმიური დაგროვება 5% | | | | 110 | | 63 | | 14 | 187 |
| | ჯამი | | | | 1491 | | 845 | | 194 | 2530 |

სამუშაო ჩაიბარა:

სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის

სოფელ ჭაგნის საჯარო სკოლის

დირექტორი: /ნ. შენგელია/

სამუშაო ჩააბარა:

ინდ. მეწარმე: /გ. ცაგურია/